ლაღი

№ 57 (10 471)
29 მარტი, პარასკევი
1991 წელი
ფასი 10 კაპ.

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

რეფერენდუმის წინ

ხმა ესპანეთიდან

TLX FM MALAGA, 27-3-91

SAKARTVELOS RESPUBLIKIS USENAESI SABCHOS
TAVMDOMARES
BATON ZVIAD GAMSAJURDIAS
MTLIANAD MJARS VUCHERT TKVENS POLITICAS DA SCHOREULI
ESPANETIDAN GTJOVT NEBA DAGVRTOT MIVIGOT MONADCILEOBA SAKARTVELOS
RESPUBLIKIS REPERENDUMSCHI MTELI CHVENI
ODZAJI SAKARTVELOS JUTI MOKALAKE JMAS VADZLEUT SAKARTVELOS
DAMOUKIDEBLOBAS.
PATIVISCEMIT SAERTASCHORISO DIDOSTATI CHADRAKSCHI
TAMAZ GEORGADZE DABADEBULI 1947
RUSUDAN GEORGADZE (MEUGLE) DAB 1946
VASILI GEORGADZE (SCHVILI) DAB 1970
DAVID GEORGADZE (SCHVILI) DAB 1975
KETEVAN GACHECHILADZE (RDZALI) DAAB 1969
MALAGA ESPANETI 27.03.91

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას

მთლიანად მხარს ვუჭერთ თქვენს პოლიტიკას და შორეული ესპანეთიდან გთხოვთ ნება დაგვრთოთ მივიღოთ მონაწილეობა საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმში. მთელი ჩვენი ოჯახი — საქართველოს ხუთი მოქალაქე ხმას ვაძლევთ საქართველოს დამოუკიდებლობას.

პატივისცემით, საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში თამაზ გიორგაძე (დაბადებული 1947 წ.), რუსუდან გიორგაძე (მეუღლე, დაბ. 1946 წ.), ვასილ გიორგაძე (შვილი, დაბ. 1970 წ.), დავით გიორგაძე (შვილი, დაბ. 1975 წ.), ქეთევან გაჩეჩილაძე (რძალი, დაბ. 1969 წ.).

მალაგა, ესპანეთი.
27.03.91 წ.

აბდულა ბარკალაევი:

„ჭეშმარიტ კავკასიელმა ხმა შინდა მისცეს საქართველოს დამოუკიდებლობას“

ამ დღეებში ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალი ერის წარმომადგენელი გამოვიდა საქართველოს ტელევიზიით და თავის თანამემამულეებს მოწოდებით მიმართა, რომ მხარში ამოუდგნენ ქართველ ერს, — 31 მარტს ხმა მისცენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. მათ შორის იყო აბდულა ბარკალაევიც — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ძიუდოში.

● აბდულა, თქვენ საქართველოში აღარ ცხოვრობთ, რა მიზნით ჩამოხვედით ახლა ჩვენს რესპუბლიკაში?

— დიახ. ამჟამად ვცხოვრობ დაღესტანში, მახაჩყალაში, საიდანაც გუშინ ჩამოვედი. რამ ჩამომიყვანა? — საქართველოს სიყვარულმა და ჩემმა კაცურმა ვალმა.

დაღესტნელები გავეცანით საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მიმართვას. [illegible] ხელ-



აბდულა ბარკალაევი

ხებისადმი, გულში ჩაგვწვდა ამ მიმართვის თითოეული სიტყვა. კავკასიის მთების შვილები ერთ მუშტად უნდა შევიკრათ თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ისიც შევიტყვე, რომ 31 მარტს საქართველოში იმართება რეფერენდუმი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. სპეციალურად ჩამოვედი აქ, რათა საქართველოში მცხოვრები ყველა ჩემი თანამემამულისთვის მომეწოდებინა — ამ დღეს დადგნენ ქართველი ხალხის გვერდით. ყველა კავკასიელმა ხმა უნდა მისცეს საქართველოს დამოუკიდებლობას.

● თქვენ ზემოთ კაცური ვალი ახსენეთ...

— ვალი მარტო ხელის გასამართავად აღებული ფული როდია. მე უფრო ვგულისხმობ დიდ — ადამიანურ, კაცურ ვალს, რომლის გადახდაც მთელი სიცოცხლის მანძილზე მომიწევს.

ეროვნებით ლეკი ვარ, მაგრამ დავიბადე და გავიზარდე საქართველოში, ყვარლის რაიონის სოფელ თივში. აქ, ამ დალოცვილ მიწაზე ავიდგი ფეხი, აქ დავვაკაცდი. აქედან გავედი ჭიდაობის მსოფლიო სარბიელზე. საქართველოს გუნდის სახელით გამოვდიოდი ტატამზე, გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი.

ქართველი მოჭიდაველები: ლევან თედიაშვილი, გურამ საღარაძე, რამაზ ხარშილაძე, შოთა ჩოჩიშვილი, ამირან ობგაიძე, თემურ ხუბულური ჩემი ძმები არიან.

თბილისში ჩამოვედი ასევე ჩემს ძმასთან — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ დავარ ხაბულიანთან. მე და დავარი ოცი წელია ვმეგობრობთ, ჯერ კიდევ ინსტიტუტიდან: საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობებზეც ერთად გვიხდებოდა გამოსვლა, ერთმანეთს ვქომაგობდით.

● თუ დამდგარხართ ერთმანეთის პირისპირ ტატამზე?

— ტატამზე კი. ცხოვრებაში — არასოდეს. ჭიდაობაშიც, რომ იტყვიან, ბარი ბარს ვართ. ერთხელ მე მოვუგე, მეორედ — იმან.

● საქართველო მარტო თქვენმა მეგობრებმა შეგაყვარეს?

— რატომ მარტო მეგობრებმა. მე საქართველოში დავიბადე და მას ჩემს მეორე სამშობლოდ ვთვლი. ქართველ ხალხს არასოდეს უგრძნობინებია ჩემთვის, რომ მე უცხო ვარ. პირიქით.

1975 წელს ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს გუნდის სახელით გამოვდიოდი. ფინალში შევხვდი ოლიმპიურ ჩემპიონს — იუგოსლაველ სტანკო ჯოროვიჩს. საკმაოდ ძლიერი მოჭიდავე იყო. მთელი სპორტის სასახლე, ათასობით ქართველი ფეხზე იდგა და მამხნევებდა, იძახდა „ბარ-კა-ლა-ევ! ბარ-კა-ლა-ევ!“ როცა გავიმარჯვე, ტაშმა იჭუხა და ხელში ამიტაცეს. ამას მშობლიური ხალხის გარდა, ვინ გააკეთებს?

● ახლა რას საქმიანობთ?

— დაღესტნის ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვარ. ჩვენი გუნდის სამი წარმომადგენელი ახლახან საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. ასე-რომ, ძიუდოისტთა ქართულ სკოლას არც დაღესტანში შეეარცხვენთ.

ვ. ბოგოლაური.



● ბატონო გურამ, პირველ ყოვლისა, თქვენი საარჩევნო პროგრამის შესახებ.

— პროგრამა ვრცელია, მხოლოდ რამდენიმე მთავარ საკითხზე შეჩერდები, მაგრამ წინასწარ გეტყვით, არ მიყვარს ლოზუნგომანია. გავაკეთებ იმას, რასაც დღევანდელი და ხვალინდელი საქართველოს ინტერესები მოითხოვს, ცხოვრებაში გავატარებთ იმ გეზს, რასაც გვისახავს ეროვნული პარლამენტი ბატონ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით.

● სპორტული სამყარო და არა მარტო სპორტული სამყარო, დიდი ხანია გიცნობთ როგორც ღვთისმოსავ კაცს. მაინც გვინდა მოკლედ გვითხრათ, თქვენს წინასაარჩევნო პროგრამაში თუ აისახება სარწმუნოებრივი პოზიცია?

— ეს, თავისთავად, ცხადია. ვითავე, ავიყოლიო მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა და იქ, სადაც მე ვმუშაობ, ვარკეთილის მეურნეობის დირექციასთან ერთად, დირექტორის ბატონ ანზორ ახვლედიანის აქტიური მხარდაჭერით გადავწყვიტეთ ავაგოთ ეკლესია.

● ვარკეთილში სპორტსკოლათა ოლიმპიური მომზადების კომპლექსიც იქმნება და ეკლესიის აგება გარკვეულწილად, ამანაც ხომ არ განაპირობა?

— ასეცაა. სპორტსმენს განსაკუთრებით სჭირდება სულიერი [illegible]

იხ. მე-3 გვ.

საკრებულოებში — მხოლოდ ღირსეულნი!

გურამ მეგრელიძე, დაიბადა 1936 წელს. განათლებით პედაგოგი. საქართველოს სპორტის დეპარტამენტის საწვავლო-სპორტული ცენტრი („ვარკეთილი“) გენერალური დირექტორი. რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი სპორტულ თამაშებში (კალათბურთი, რაგბი, ჩოგბურთი). კენჭს იყრის საბურთალოს რაიონის № 19 საარჩევნო ოლქში. ბლოკი — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“, მერაბ კოსტავას საზოგადოება.

„პრანაირი მიზანი არ მიიღწევა რწმენის გარეშე“

იხ. მე-3 გვ.

თანხმობა და სამართლიანობა ფეხბურთშიც გვჰირდება

ქუთაისის საფეხბურთო კლუბ „ქუთაისის“ მიმართ დებულების დარღვევის გამო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოტანილი სანქცია ქუთათურმა ფეხბურთის გულშემატკივრებმა შეურაცხმყოფელ აქტად აღიქვეს. ამასთან დაკავშირებით რედაქციაში მოდის დეპეშები ქუთაისიდან, რომლებშიც გმობენ ფედერაციის გადაწყვეტილებას.

„ლელოს“ რედაქცია მუდამ იდგა და იდგება სპორტში სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის პოზიციაზე. ზედმეტი ვნებათაღელვა ვერ გაუწევს კეთილ სამსახურს ქართული ფეხბურთის ინტერესებს. ვფიქრობთ, ჩვენს საფეხბურთო ოჯახს შესწევს უნარი თავადვე ისე მოაგვაროს ყველა საშინაო პრობლემა, რომ ემოციებმა დაპირისპირების ნიადაგი არ შექმნას. თანხმობა და სამართლიანობა ყველა საქმეში ესაჭიროება დღეს ქართველ ერს.

პასუხი „ლელოს“ — ქმედითოგა

„უმაწვილო, უკადრისს რად კადრულობთ?“

ამ სათაურით 27 მარტს „ლელომ“ გამოაქვეყნა კრიტიკული შენიშვნა ა. კიკნაძის სახელობის ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირზე მომხდარი ერთი ინციდენტის გამო. საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტიდან გვაცნობეს, რომ გაზეთის კრიტიკული პუბლიკაცია იმავე დღეს განიხილა ძიუდოს ფედერაციამ. დებოშის მოთავეს ფრიდონ კახელაშვილს და მის ძმას ტარიელს, რომელიც ჩხუბში ჩაერია, ითხოვ ასტრონომიული წლით მიეცათ დისკვალიფიკაცია და აეკრძალათ რესპუბლიკურ და უფრო მაღალი რანგის, მათ შორის საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა. მწვრთნელს, გიორგი ალექსანიანს, მკაცრად მიეთითა. დაისახა ღონისძიებები, რათა შემდგომში აღარ განმეორდეს სპორტული ასპარეზობისთვის შეუფერებელი ექსცესები.

ევროპის ჩემპიონატი

[illegible] ოთხშაბათს გაიმართა ევ[illegible] ფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები.

II ჯგუფი. შოტლანდია — ბულგარეთი 1:1, სან-მარინო — რუმინეთი 1:3.

III ჯგუფი. ესპანეთი — უნგრეთი. 2:4.

IV ჯგუფი. იუგოსლავია — ჩრდილოეთ ირლანდია 4:1.

V ჯგუფი. ბელგია — უელსი 1:1

VII ჯგუფი. ინგლისი — ირლანდია 1:1



საქართველოს სპორტის დეპარტამენტის სპორტულ დარბაზში გუშინ დაიწყო რესპუბლიკის ჩემპიონატი ფარიკაობაში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ეს-ესენი შემოტყვეთ...

არაფერი შეცვლილა

ნბა-ს კალათბურთელთა ჩემპიონატზე რამდენიმე მატჩი გაიმართა, რომლებსაც გუნდების სატურნირო მდგომარეობა არ შეუცვლია.

„დეტროიტი“ — „ინდიანა“ 102:93.

„ორლანდო“ — „დალასი“ 97:85

„ლოს-ანჯელეს კლიპერსი“ — „იუტა“ 95:89

„პორტლენდი“ — „სიეტლი“ 112:107

იხ. მე-4 გვ.

გვახსოვხართ, ჩემპიონებო!

ვარჯიში დამთავრდა. ოფლში გახვითქული გოგოები ყივილ-ხივილით გასახდელისკენ გაცვივდნენ. დარბაზში სიჩუმემ დაისადგურა. მარტოდ დარჩენილმა, სკამი მაგიდისკენ მიაჩოჩა, ჩამოჯდა, სამუშაო ჟურნალი აიღო, შენიშვნები ჩაწერა; შემდეგ დარბაზს მოავლო თვალი, სახეზე ღიმილმა გადაურბინა, ახალგაზრდობიდან თუ გაახსენდა რამე. ამ მოედანზე თავადაც მრავალჯერ გამოსულა ფრენბურთის ოსტატებთან სპაექროდ, ხშირად წარმატებითაც უთამაშია. ყველაზე გამორჩეულად მაინც ერთი ორთაბრძოლა აღბეჭდვია გონებაში...

დებიუტი

ათას ცხრა

„არანაირი მიზანი არ მიიღწევა რწმენის გარეშე“

(დასასრული)

ლება. „რწმენა ძალაა, რომელიც ლაჩრებს არ გააჩნიათ“. ვერავითარ მიზანს ვერ მიაღწევ რწმენის გარეშე. სპორტსმენობა ღვთით მომადლებული დიდი ნიჭია, ქართველი სპორტსმენი უნდა იყოს ჭეშმარიტად მართლმადიდებელი ქრისტიანი — რაინდობით, სიკეთით, სიყვარულით, სათნოებით მაგალითის მიმცემი. იგი უცხოეთშიც ამ თვისებებითაც უნდა განადიდებდეს თა-

---

ჩვენ ერთად ვიქნებით 28 ოქტომბერს

საქართველოს ეროვნული გამოფენა — ჩინ ვა ქალაქი

ხაზ ძიეკით ბიოკ „ეროვნული ფიბიდ თანამედროვეი საქართველოს“

ლეგიტიმაციის კანდიდატებს!

ვის ერს და სამშობლოს. უფალი ბრძანებს, „რამეთუ მე ვარ თქვენში, თქვენ ხართ ჩემში“. სპორტსმენი თავისი ერის შვილია და ერი მასშია.

არ ვიცი, ღვთის ტაძრის აშენება საბურთალოს რაიონში არის თუ არა დაგეგმილი, მაგრამ მე ამ საკითხს უთუოდ დავაყენებ საკრებულოს წინაშე.

● თქვენ საქართველოს საპატრიარქოსთან იმთავითვე მჭიდრო ურთიერთობა გაქვთ. ვიცით, არაერთხელ აწვიეთ ჩვენი სპორტსმენები სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდეს და უნეტარეს ილია მეორეს...

— ამას მე საჭიროდ ვთვლიდი, რათა სპორტსმენი სულიერი შეჭირვების დროს გამხნევებულიყო, დარწმუნებულიყო თავის შესაძლებლობებსა და ძალებში. ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება. სეულის ოლიმპიადის წინ მე და ვლადიმერ აფციაური მის მწვრთნელთან და რამდენიმე დაინტერესებულ სპორტულ მუშაკთან ერთად, ვეწვიეთ პატრიარქს. უწმინდესმა აკურთხა და დალოცა სპორტსმენი, უბოძა სატარებელი წმინდა გიორგის ხატი. შემდეგ რაც მოხდა, ყველამ იცის — ვლადიმერს არც ერთი შესარჩევი ბრძოლა არ წაუგია, ნაკრებში ჩარიცხეს, სეულში კი სასწაული მოახდინა, ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა გუნდთან ერთად, თანაც ოქროს მედალი ნაკრებს მისმა გადამწყვეტმა ბრძოლამ მოუტანა. გაჭირვების დროს ფიზიკულტურელებით ვამაყოფიღდებოდით. ამან ერის ფიზიკურ დაუძლურებამდე მიგვიყვანა. მუშაობის ცენტრი საცხოვრებელ ადგილებში უნდა გადავიტანოთ. განსაკუთრებით მისახედია საბავშვო ბაღები და დაწყებითი კლასები. საჭიროა გავაცოცხლოთ ხალხური თამაშები და სპორტის ეროვნული სახეობები. მედიცინის მუშაკებთან ერთად საცხოვრებელ ადგილებში უნდა შექმნათ ყველა ასაკის ადამიანთა გაჯანსაღებისა და მოზარდთა საწყისი სპორტული დაოსტატების პირობები. აქ თავის სიტყვას უთუოდ იტყვის მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაცია, რომელიც ფიზკულტურისა და მედიცინის მუშაკებმა ერთობლივად შექმნეს. მასობრივი გაჯანსაღების კერად უნდა იქცეს თბილისის იპოდრომი, რომელიც საბურთალოს რაიონშია ტერიტორიულად. კიდევ ერთი: მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღებისა და მოზარდთა თობის სპორტული აღზრდის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ დიდი სპორტის ვარსკვლავები, რომლებიც, საბედნიეროდ, მრავლად არიან, როგორც მთელს საქართველოში, ისე ჩვენს რაიონში, დავასახელებ თუნდაც ორ ოლიმპიურ ჩემპიონს გივი კარტოზიას და მიხეილ ქორქიას.

საკრებულო ამ საკითხებს უთუოდ მიხედავს.

ესაუბრა **თორნიკე ბაქრაძე.**

ROCA ძალა ალმართს ხნავს

კიევი. გრძელდება X საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფრენბურთელ ვაჟთა ნახევარფინალური ტურნირი იმ გუნდებისთვის, რომლებიც I-VIII ადგილებისთვის იბრძვიან.

როგორც ვიუწყებოდით, მთავარ ჯგუფში თამაშის უფლება საქართველოს წარმომადგენლებმაც მოიპოვეს და ეს, თავისთავად, დიდი წარმატებაა, ვინაიდან, გადამწყვეტ ეტაპს უმთავრესად უმაღლესი ლიგის „ბინადარნი“ შემორჩნენ. ჩვენი თანამემამულეები ნახევარფინალურ ჯგუფში ერთი წაგებით გავიდნენ (ლატვიასთან).

ამ ეტაპზე საქართველოს ფრენბურთელებმა კიდევ ორი მარცხი იწვნიეს, მაგრამ ეს ის შემთხვევები გახლავთ, როცა ძალა ალმართს ხნავს და ვერაფერს გააწყობ. ჩვენებს მოუგეს უკრაინელებმა — 3:1 (15:7, 17:15, 14:16, 15:2) და მოსკოველებმა — 3:0 (15:9, 15:5, 15:5). პირველი შეხვედრის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, გუნდი მთლად უსუსურად არ გამოიყურებოდა, არადა, უკრაინის ფრენბურთელები უმაღლეს ტიტულს თუ არა, ერთ-ერთ საპრიზო ადგილს ნამდვილად უმიზნებენ.

გთავაზობთ ნახევარფინალური ტურნირის სხვა შედეგებს: რუსეთის ფედერაცია — ლენინგრადი 3:0, ყაზახეთი — ბელორუსია 3:0, მოსკოვი — ლატვია 3:2, ლენინგრადი — ბელორუსია 3:0, რუსეთის ფედერაცია — ყაზახეთი 3:1, უკრაინა — ლატვია 3:0.

რატომ ბარბაკს საბჭოთა სპორტი სიკვდილზე

რაც დრო გადის, სპორტულ მოძრაობას თვალმიდევნებული კაცი თანდათან რწმუნდება, რომ საბჭოთა კავშირში ახლა რადიკალურად იცვლება დიდი სპორტისადმი დამოკიდებულება. ჯერ კიდევ ახლო წარსულში საბჭოთა სპორტი იმპერიის სახელისა და ძლიერების განდიდების ჰერკულესის სვეტს წარმოადგენდა, დღეს კი... ყოველდღიურად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ, როგორც იტყვიან, სპორტისთვის აღარავის ცხელა. საკავშირო უზენაესი საბჭოს დეპუტატები, რომლებიც თავის დროზე ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა უწყვეტრივი პრინციპით აირჩიეს, ახლა რას აღარ ღონობენ ქვეყნის იმპერიულ სისტემაში სპორტის ოდინდელი ფუნქციის შესანარჩუნებლად, საქმეს ვერც პრეზიდენტთან აუდიენციამ უშველა.

გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, ნათქვამია. ცნობილი ძწვრთნელები და სპორტსმენები, რაკი ქვეყანაში სპორტისადმი გულგრილობის ზრდას ალღო აუღეს, ახლა თავქუდმოგლეჯილები გარბიან საზღვარგარეთ. ზოგი — ოფიციალურად, ზოგიც — არაოფიციალურად. ისინი თანხმდებიან, როგორც საკავშირო პრესა წერს, „მათხოვრულ გასამრჯელოზე“.

სხვის ხარჯზე უცხოეთში სანავარდო გზები მოეჭრათ ფუნქციონერებს და ყველაზე უფრო ახლა მათ ეს ადარდებთ. ჭირი მოგჭამა უვალუტო გაცვლებმაც, აქ სახელმწიფოს მართლაც რომ დიდებული სამსახური გაუწია „აეროფლოტმა“ — — მოიწვიე ვინც გინდა, რამდენი გუნდიც გინდა, ოღონდ იცოდე, ქვეყნის შიგნით ფრენის საფასური მხოლოდ ვალუტით უნდა გადაიხადო და არა საბჭოთა მანეთებით, როგორც ეს ადრე იყო.

საბჭოთა სპორტის მზე ჩასვენების სტადიაშია. რაღა დარჩა ბარსელონის ოლიმპიადამდე. ძველებური აჟიოტაჟი, ანგარიშიდან ანგარიშზე მილიონების გადატანია ეპოქა, ნაკრები გუნდების გაუთავებელი, თითქმის სრულწლიანი შეკრებები და მეფური ფუფუნება ტკბილ მოგონებად რჩება. „ცენტრში“ ჯერ ხეირიანად ისიც კი არ გარკვეულა, ოლიმპიური კომიტეტი მოამზადებს ნაკრებ გუნდებს თუ სპორტსახკომი.

საქართველოში ყველაფერი გარკვეულია, ჩვენი რეპუბლიკის ოლიმპიელების მზადება მთავრობის აქტიური მხარდაჭერით, სპორტის დეპარტამენტის და სეოკ-ის ერთობლივი ძალისხმევით მიმდინარეობს.

საქართველო მზად უნდა იყოს ყოველგვარი სასიკეთო ცვლილებებისათვის. ვინ იცის, იქნებ სწორედ 1992 წლიდან დაიწყოს ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა დამოუკიდებლად მონაწილეობის ათვლა.

ღმერთმა ქნას!

მიმომხილველი

ეს ბევრს აინტერესებს

ვალუტის გაცვლის ახალი წესები

1991 წლის 1 იანვრიდან სსრ კავშირის საგარეო ეკონომბანკმა შემოიღო ვალუტის გაცვლის ახალი წესები იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც პირად საქმეებზე მიემგზავრებიან კაპიტალისტურ ქვეყნებში. ახლა გაცვლის თანხა შეადგენს ათას მანეთს სპეციალური კურსით, რაც დაახლოებით აშშ-ის 160 დოლარს უდრის. გარდა ამისა, საგარეო ეკონომბანკის შენობასთან რიგების შემცირების მიზნით, აგრეთვე „ცრუ“ გაცვლების წინააღმდეგ საბრძოლველად, ვალუტა გაიცემა უცხოეთის პასპორტის წარდგენის შემდეგ, რომელშიც დასმული იქნება გასასვლელი ვიზა.

როგორც ამბობენ, ამ დადგენილების ამოქმედების შემდეგ, მოსკოვში, ლენინგრადის პროსპექტზე, საგარეო ეკონომიკის ცნობილი შენობის წინ რიგებმა მკვეთრად იკლო. ახლა კი იგი კვლავ გაიზარდა — დაახლოებით ერთ თვეს უხდებათ ცდა. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ღონისძიებას დადებითი ეფექტიც მოჰყვა: ადრე ზომ ფულის გაცვლის შესაძლებლობას სამ-ოთხ თვეს უცდიდნენ.

სსრ კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის შტკაცა ვალუტით ანგარიშზე გადასვლასთან დაკავშირებით შეიცვალა ფულის გაცვლის წესები. ახლა გაცვლის თანხა შეადგენს 150 მანეთს სპეციკურსით, რაც დაახლოებით აშშ-ს 30 დოლარს უდრის. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კერძო მოგზაურობისთვის ფულის გაცვლის უფლება აქვთ გარდა საგარეო ეკონომბანკისა, სხვა ბანკებსაც, რომლებიც ადრე ფულს უცვლიდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კერძო მიწვევით გამგზავრების მსურველ მოქალაქეებს.

გაზეთი „ტურისტსკაია ნოვოსტი“

19 მარტი-1 აპრილი 1991 წ.

რუბრიკის პრემიერა:

მსაჯები იხსენებენ...

ფეხბურთის ქართველ არბიტრთა სახელები, კერძოდ კი მათი მაღალკვალიფიციური მსაჯობა კარგადაა ცნობილი გულშემატკივრებისათვის. ხაქმე მარტო ის როდია, რომ ჩვენი „თემიდები“ მუდამ აღიარებულნი იყვნენ, როგორც პრინციპული და მიუკერძოებელი მსაჯები. ამიტომაც ხშირად ანდობდნენ ყველაზე რთულ, გადამწყვეტი ორთაბრძოლების გაძღოლას. ისინიც წარმატებით ართმევდნენ თავს რთულ ამოცანას.

რაც შეეხება ჩვენს რუბრიკას, იგი მკითხველს გააცნობს იმ „სათავგადასავლო“, დასამახსოვრებელ საფეხბურთო ეპიზოდებს, რომელიც სამსაჯო პრაქტიკაში არც თუ იშვიათად ხდებოდა. მაშ ახე, დღეს რუბრიკის პრემიერაა. გთავაზობთ ცნობილი არბიტრის, ხაპატიო მსაჯის, აწ გარდაცვლილი ოტია ყორდანიას მოგონებას.

...მეშვიდეა საჭირო!

„...დინამოელებმა, მიაღწიეს რა ერთგოლიან უპირატესობას ანგარიშში, ამით საქმე მოთავებულად ჩათვალეს და, როგორც ეს ხშირად ხდება, დამშვიდდნენ, ამჯერადაც დაუქვეითდათ აქტიურობა, რითაც უმალ ისარგებლეს სტუმრებმა და გაქვითეს ბურთი“...

(ცენტრალური გაზეთიდან).

თუმცა, რა გაზეთი გვინდა, როცა მილეთი მაყურებლის თვალწინ, რაღაც უხილავი ძაფებით ხდება საოცარი მეტამორფოზა დღეს თამაშში, ხშირად ვხვდებით მოწმენი იმისა, თუ როგორ ქვეითდება ფეხბურთელთა შრომისუნარიანობა და აქტივობა. ამის გამო რადიკალურად იცვლება ბრძოლის სურათიც...

რა თქმა უნდა, ახალს არაფერს ვიტყვი, თუ ჩემს ახალგაზრდა კოლეგა ფეხბურთელებს შევახსენებ, რომ წარმატებისათვის ბოლომდე, მატჩის უკანასკნელ წამებამდე ბრძოლაა საჭირო და როგორც კი შეანელებ ტემპს, უმალ დაისჯები...

მინდა ჩემი მრავალწლიანი საფეხბურთო, უფრო კი სამსაჯო ცხოვრების ერთი ეპიზოდი გავიხსენო, რაც უტყუარი მაგალითია იმისა, ზემოთ რომ ვთქვი.

ეს იყო ორმოციანი წლების მიწურულს. ბაქოს „ნეფტიანიკი“ (ასე ერქვა მაშინ „ნეფთჩის“) თავის მინდორზე დიდი ანგარიშით — 0:6 აგებდა შეხვედრას მოსკოვის „დინამოსთან“. მატჩის გვერდითი მსაჯი გახლდით. ორთაბრძოლა იწურებოდა, როცა ბურთი ჭვერდის ხაზს გადასცდა. ერთ-ერთ ბაქოელ ფეხბურთელს მოეჩვენა, რომ აუტი მას უნდა მიეწოდებინა და ბურთს დასწვდა. მას გაშმაგებული მივარდა დინამოელთა მარცხენა გარემარბი სერგეი სოლოვიოვი, მსაჯის გადაწყვეტილებას არ დაუცადა და პირგამეხებულმა გამოსტაცა ბურთი...

— კი მაგრამ, საკმარისი არ არის, ექვსით ნოლს იგებთ და ამ ერთ აუტს რა მნიშვნელობა აქვს? — ვუთხარი სერგეის, რომელიც ადგილზე ვერ ჩერდებოდა, ბორგავდა, ერთი სული ჰქონდა, როდის განახლდებოდა თამაში.

— მეშვიდეა საჭირო! — ისე კატეგორიულად მომიგო, თითქოს მარტო ამ გოლზე იყო დამოკიდებული მთელი მატჩის ბედი, თითქოს „დინამოს“ ერთი გოლიც არ ჰქონდა გატანილი მასპინძელთა კარში. მაშინ კი გამეღიმა, მაგრამ ახლა ვრწმუნდები, რომ სწორედ თამაშისადმი ასეთი დამოკიდებულებით შეიძლება გუნდმა წარმატებას მიაღწიოს.

ამ შეგონებას კარგად უნდა ჩასწვდნენ ჩვენი ახალგაზრდები.

მკითხველის აზრი

„ლელოს“ რედაქციას!

სტადიონზე ლატარიის გათამაშება ხდებოდა პირველი ტაიმის დამთავრების შემდეგ. მატჩის დამთავრებისას კი გარკვეული იყო ბედნიერი ბილეთების მფლობელები. რადიოთი გვატყობინებდნენ მათ ვინაობას.

ბედნიერი ბილეთების მფლობელები, რომლებსაც ამჯერად არ გაუმართლდათ, მომავლის იმედით მივდიოდით შინ.

ახლა, როცა გათამაშება თამაშის შემდეგაა, თითქმის ყველას გვეპარება ეჭვი სისწორეში და ბევრმა თავიც კი დაანება ბილეთების შეძენას.

გთხოვთ განიხილოთ ეს საკითხი სტადიონის დირექციასთან ერთად, რათა ლატარია გათამაშდეს ფეხბურთის მატჩის შესვენების დროს.

ალექსი კასრაძე,
ფეხბურთის ვეტერანი გულშემატკივარი.

თბილისი.

მს-ქსაა შევიტყვეთ...

(დასასრული)

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტის დივიზიონი

	მ.	წ.	%
„ბოსტონი“	50	19	725
„ფილადელფია“	38	31	551
„ნიუ-იორკი“	34	36	486
„ვაშინგტონი“	26	42	382
„ნიუ-ჯერსი“	23	47	329
„მაიამი“	21	49	300

ცენტრალური დივიზიონი

„ჩიკაგო“	51	17	750
„დეტროიტი“	44	27	620
„მილუოკი“	42	28	600
„ატლანტა“	38	32	543
„ინდიანა“	35	36	493
„კლივლენდი“	24	44	353
„შარლოტა“	20	49	290

დასავლეთის კონფერენცია

შუა-დასავლეთის დივიზიონი

„იუტა“	46	23	667
„სან-ანტონიო“	45	23	662
„ჰიუსტონი“	44	24	647
„დალასი“	25	43	368
„ორლანდო“	25	43	368
„მინესოტა“	22	46	324
„დენვერი“	18	51	261

წყნარი ოკეანის დივიზიონი

„პორტლენდი“	51	18	739
„ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“	50	20	714
„ფენიქსი“	48	22	686
„გოლდენ სტეიტი“	36	33	522
„სიეტლი“	32	37	464
„ლოს-ანჯელეს კლიპერსი“	27	44	380
„საკრამენტო“	18	49	269

ძნელია „ბორგენალ მეამბოხეთა“ შეჩერება

45 გამარჯვება ზედიზედ

აშშ-ს სტუდენტთა კალათბურთში წარმატების ყველაზე რეალურ შანსს ლას-ვეგასის (ნევადას შტატი) უნივერსიტეტის წარმომადგენლები ინარჩუნებენ. „რანინგ რებელსი“ („ბორგენალი მეამბოხეები“) აგრძელებს წაუგებელი მატჩების სერიას, რომელიც შარშანდელ სეზონში დაიწყო და რომელმაც უკვე ორმოცდახუთს მიაღწია. „მეამბოხეები“ გავიდნენ ფინალში, რომელიც მოეწყობა ინდიანაპოლისში 30 მარტ—1 აპრილს.

დასავლეთის ზონის ბოლო შეხვედრა ლას-ვეგასის უნივერსიტეტის სტუდენტებმა მოუგეს „სეტონ ჰოლს“ — 77:65. სპეციალისტებმა გამარჯვებულთან ერთად ქებით მოიხსენიეს დამარცხებული. ახლა „მეამბოხეები“ ნახევარფინალში აღმოსავლეთის ჯგუფის უძლიერეს გუნდს — დიუკას უნივერსიტეტის ნაკრებს შეხვდებიან. ერთი წლის წინ ეს კალათბურთელები მთავარ ფინალში თამაშობდნენ. მაშინ წარმატებას მიაღწია ლას-ვეგასის გუნდმა (103:73) და ჩემპიონიც გახდა.

მეორე ნახევარფინალურ წყვილს „სამხრეთ-აღმოსავლეთისა“ და „შუა-დასავლეთის“ ჯგუფებში გამარჯვებული, კანზასისა და ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტების კოლექტივები შეადგენენ. კანზასელებმა მანამდე არკანზასელებს სძლიეს — 93:81, კაროლინელებმა კი „ტემპლის“ კოლექტივს მოუგეს 75:72.

● კალეიდოსკოპი ● კალეიდოსკოპი ● კალეიდოსკოპი ● კალეიდოსკოპი ● კალეიდოსკოპი ● კალ



სარეკლამო-ნახტომი

აშშ-ს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ბიუჯეტი 1980 წელს 55 მილიონ დოლარს შეადგენდა. 1991 წლისთვის კი იგი 250 მილიონამდე გაიზარდა. მაგრამ მომავალი თამაშებისთვის სამზადისის მოცულობას ეს ციფრი, ცხადია, არ ასახავს. ამ ცოტა ხნის წინ კოლორადო-სპრინგსში (ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინა სწორედ ამ ქალაქში მდებარეობს) გაიმართა სამსახი ბიზნესმენის შეკრება, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ბარსელონას თამაშებისთვის მზადების პერიოდში დამატებით 100 მილიონი დოლარი გამოუყონ.

ამ თანხის ერთი ნაწილი მოხმარდა ბოკა-რეიტონში (ფლორიდა) ახლახან გახსნილ საცურაო ცენტრის მშენებლობას. ფოტოზე ასახულია კომპლექსი გახსნის საზეიმო ცერემონიალის დროს. 10 მეტრიანი კოშკიდან სარეკლამო ნახტომს თავის შვილთან ერთად ასრულებს ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი გრეგ ლუგანისი.

„მკვდრეთით აღდგომა“

ეს ცნობა სხვა გაზეთებზე უფრო ადრე შვეიცარიის „აფტონბლადეტმა“ დაბეჭდა და აქედან მთელს მსოფლიოს მოედო. თუმცა, ამაში არაფერია გასაკვირი — შვედი სპორტსმენის შესახებ პირველწყაროს, ცხადია, შვედური გაზეთი უნდა წარმოადგენდეს. მით უფრო, რომ ცნობა მართლაც სენსაციური იყო: „უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონი, 70-იანი წლების მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი ბორნ ბორგი, რომელმაც კარიერა 1983 წელს დასრულა, სპორტში დაბრუნებას აპირებს“. ამ ამბავმა, დასამალი არაა, ყველა კონტინენტი მოიარა და ჩოგბურთის ბევრი მოყვარული განაცვიფრა.

ბორგს სპორტულმა წარმატებებმა და აქტიურმა სარეკლამო მოღვაწეობამ მილიონობით დოლარი მოუტანა. „კაპიტალი რომ დაუგროვდა. მაშინღა გადაწყვიტა სპორტიდან წასვლა. ... არეულია საქმის წამოწყება. მაგრამ ბიზნესმენად ვერ ივარგა — ფირმა „ბიორნ ბორგ ინტერპრაიზის ლიმიტედი“ წამგებიანი აღმოჩნდა. ჩოგბურთელს არც პირადი ცხოვრება აეწყო. მეუღლეებთან მუდმივმა კონფლიქტმა კი სულიერი სიმშვიდე დაუკარგა. ამას დაერთო მილანის საიდუმლოებით მოცული ინციდენტი (მოწამვლა) და ბევრმა გულშემატკივარმა თავის გუშინდელ კერპს ზურგი შეაქცია...

და აი, მოულოდნელი გადაწყვეტილება! 34 წლის ექსჩემპიონი დიდ სპორტში აპირებს დაბრუნებას და ამით თავისი ფინანსური პრობლემების მოგვარებას. ბორგმა უკვე დაანება თავი თამბაქოს, მეტნაკლებად მოაწესრიგა ოჯახური პრობლემები, დაიკლო წონაში და ინტენსიურ წვრთნას შეუდგა ლონდონის ერთ-ერთ საჩოგბურთო კლუბში...

სურათზე: ბორნ ბორგი თავისი ფირმის ოფისში.

ჯერჯეროგით ერთადერთი

ემანსიპაცია დღეს აღარავის აკვირვებს სპორტში. მაგრამ არის სფერო, სადაც მამაკაცისა და ქალის გათანაბრება ძნელად ხერხდება. ეს მომხიბლავი გოგო ჯერ 20 წლისა არც არის, მაგრამ კრივის დიდ სპეციალისტად ითვლება. ანტონელა მინიერი იტალიაში (და ალბათ, მსოფლიოში) ერთადერთი არბიტრი ქალია და ამის გამო, დიდი პოპულარობით სარგებლობს „ნამდვილ მამაკაცთა“ შორის. ბოროტ ენები ამბობენ, ბევრ მოკრივეს უყვარს სიმპათიური არბიტრიო, მაგრამ გრძნობების გამჟღავნებას ვერავინ ბედავს, ანტონელას ჰყავს მკაცრი მამა, წარსულში ხაკმაოდ კარგი მოკრივე რიჩი (სპორტულ წრეებში მას „მრისხანე რიჩს“ ეძახდნენ).

მეუღლე მინისტრი თანახმაა

მხიარული კომპანია შეიკრიბა იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში ორმოცდაცხრა წლის ჰიუ სმოლასა და ოცდაცხრა წლის გრეის ჯექსონის ქორწილში. აქ იყვნენ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, მისი კაბინეტის წევრები, დიპლომატები და... ქვეყნის მძლეოსანთა ნაკრების წევრები. იმ დღეს ქორწინდებოდნენ მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მძლეოსანი ქალი, სეულის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი 200 მეტრზე **რბ**ენაში. გრეისმა განაცხადა, რომ ოჯახური საქმეები ხელს არ შეუშლის მის სპორტულ კარიერას: მას კიდევ დიდხანს აქვს განზრახული სირბილი და აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში. მინისტრი მეუღლეც თანახმაა ამაზე, რადგან მიაჩნია, რომ მძლეოსნები საგრძნობ როლს ასრულებენ პატარა კუნძულის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებაში.

ბერმანელ ფეხბურთელთა გამარჯვება

27 მარტს გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში გერმანიისა და საბჭოთა ნაკრებ გუნდებს შორის. თამაში დამთავრდა გერმანელთა გამარჯვებით — 2:1.

პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა, 65-ე წუთზე პირველი ბურთი გაიტანა როიტერმა, შემდეგ, 81-ე წუთზე მათეუსმა ორამდე გაზარდა ანგარიში. 83-ე წუთზე მასპინძელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი, რომელიც ზუსტად გამოიყენა დობროვოლსკიმ.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: **ბერმანია** — ილგნერი, როიტერი, დოლი, კოლერი (ჰელმერი), ბერტოლდი, ბუხვალდი, ჰესლერი (მილერი), ზამერი, ფიოლერი, მათეუსი, კლინსმანი: **საბჭოთა ნაკრები** — უვაროვი, ჩერნიშოვი, ყულკოვი, გალიამინი, გორლუკოვიჩი, შალიმოვი, მიხაილიჩენკო, ცანჩელსკისი (ბოროდიუკი), კოლივანოვი (იურანი), დ. კუზნეცოვი, დობროვოლსკი. მატჩს დაესწრო 30 ათასი მაყურებელი, იმსაჯა პოლონელმა არბიტრმა მ. ლისტკევიჩმა.

„იტალია-90“: კურიოზები

დღეს, როცა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებიდან თითქმის მთელი წელი გავიდა, უცხოეთის პრესა არ ცხრება და ამ მოვლენასთან დაკავშირებულ ახალ-ახალ კურიოზებს გვთავაზობს.

...დასავლეთ ბეირუთში ჩემპიონატის დღეებში წყდებოდა ქვემეხთა გრუხუნი. საარტილერიო ზალპები ისმოდა მხოლოდ მაშინ, როცა რომელიმე გუნდი გაიტანდა გოლს.

...კალკუტაში 26 ივნისს ელექტროენერგიის გამორთვამ დიდი პანიკა და მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ვინაიდან შეწყდა ფეხბურთის მატჩის ტრანსლაცია. მეორე დღეს პარლამენტის სხდომაზე ოპოზიციის ლიდერმა მამტა ბანერჯემ ამ ფაქტთან დაკავშირებით მთავრობის გადადგომა მოითხოვა.

...იმავე დღეს, 26 ივნისს ერთმა ჩინელმა გულშემატკივარმა პეკინში თოფის გასროლით სიცოცხლეს გამოასალმა მოხუცი მამა, რომელმაც გამორთო ტელევიზორი და არაფრით არ სურდა მისი ჩართვა.

...11 ივნისს რომის პაპმა საგრძნობლად შეკვეცა საეკლესიო მესსა, რათა ფეხბურთის მოყვარული მრევლისთვის შინ დროზე მისვლის საშუალება მიეცა.

...ლიბანელმა ოფიცერმა ტონი ხალილმა, რომელიც ფინალის დღეს საპატრულოდ იყო გამოსული ქალაქში, ტელევიზორი ჯავშანსატრანსპორტო მანქანის ენერგიის წყაროს შეუერთა და ...ორი საათით გაუჩინარდა.

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

ავლაბრის სტადიონი
(ბოჟორმის ქ. № 18).

1 აპრილი ● ფეხბურთი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

(I ჯგუფი)

„მრეტები“ (თბილისი) — „ქართლი“ (გორი)

დასაწყისი 17 საათზე.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს კალათბურთში გიორგი ავალიშვილს მამის

ჭეუფე ზიო (ვაჟა) ავალიშვილის

გარდაცვალების გამო.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახვაშვილი, კორექტორები: ც. ჩიტიშვილი და მ. ძეძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380004 თბილისი, ჭ. კოტეტიშვილის, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55
სამდივნო — 95-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54.
„მერანი“ — 96-97-26, „მარჯვე“ — 95-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს უურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საბჭოთა ლელოს“ სტამბა. 380009, თბილისი, ჭ. კოტეტიშვილის, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ნიშნარაულის, 29.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20